საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის

აღმასრულებელი საბჭოს სხდომის

ოქმი

10

ივლისი, 2014 წელი

ს.ს.ი.პ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ მისამართი:

ქ. თბილისი, ძმ. ზუბალაშვილების ქ 36

სხდომის დაწყების დრო 10:00

სხდომაზე დამსწრე აღმასრულებელი საბჭოს წევრები: **ზაზა ხატიაშვილი (თავმჯდომარე), ირაკლი ყანდაშვილი, დავით ასათიანი, გიორგი თევზაძე, ზურაბ როსტიაშვილი, დავით ლანჩავა, დათუნა მოდებაძე, ბონდო ალასანია, მამუკა ნოზაძე.**

დღის წესრიგი:

1. ასოციაციაში გაწევრიანების შესახებ საკითხი;
2. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის 4 წლიანი სტრატეგიის და ერთწლიანი სამოქმედო გეგმის დამტკიცება;
3. გიგ განათლების წესში შეღავათების სისტემაში ცვლილების შეტანა;

4. სამართლის უზენაესობის და მართლმსაჯულების რეფორმების ჯგუფის კომისიად გარდაქმნის საკითხი;

5. სამართლის უზენაესობის და მართლმსაჯულების რეფორმების კომისიის დებულების დამტკიცება;

6. სამართლის უზენაესობის და მართლმსაჯულების რეფორმების კომისიის შემადგენლობის დამტკიცება;

7. მოქ. ზვიად კუპრაშვილის განცხადების განხილვა;

8. საქართველოს კანონის ადვოკატთა შესახებ, 21^2მუხლის, პირველი პუნქტის, „ა“ ქვეპუნქტის თანახმად წევრობის შეჩერების შესახებ განცხადებების განხილვა (**ვაჟა ქადაგიძე, აკაკი ქარჩხაძე, ზურაბ არსენიშვილი, დემურ სურმავა, ნიკოლოზ ბრეგვაძე, ქეთევან კრაწაშვილი, მანანა გიორგაძე, ელენე კვინტრაძე, თეიმურაზ ქათამაძე, სოფიკო შუბითიძე, ქეთევან შუბითიძე, ნატალია ძიძიგური, გიორგი მაზმიშვილი, კარაპეტ კირაკოსიანი, ნუგზარ ახვლედიანი, თამაზ დონჯაშვილი, ზურაბ მიდოდაშვილი, ნუცა შონია, ვარლამ ხათრიძე, მარიამ ფარნაოზე, გვიდონ გადელია, დავით ჩიტაშვილი, ამირან ზენაიშვილი, ირინე ურუშაძე, ნუგზარ ბადაშვილი, სიმონ თელიაშვილი, დალილა გოგოძე, ოთარ ხარატიშვილი,დავით გრძელიშვილი, მარიკა წულაძე, თინათინ შუღაროვა, სოფიო მიქელაძე, ბექა გულბანი, მარეხი მაღრაძე, სერგო ფარეიშვილი, სალომე ჯანჯღავა, კახაბერ კოღუაშვილი**);

9. ასოციაციის ჟურნალის „ადვოკატი“ ორი ნომრის გამოცემისთვის ბიუჯეტის დამტკიცება;

10. სასწავლო ცენტრის ბიუჯეტიდან (143 000 ლარი) 55 000 ლარის გადატანა ბათუმის ოფისის რემონტისა და ინვენტარის შესაძენად;

11. ადვოკატთა ინდივიდუალური განცხადებების განხილვა: (**ნინო ნიშნიანიძე, თამარ ბოსტაშვილი, თეონა ფერაძე, მარინე ჩიტაძე, მიხეილ მარჩილაშვილი**).

პირველი საკითხი:

<u>გადაწყვეტილება</u>: დაკმაყოფილებულ იქნას ნიკოლოზ ფიცხელაურის განცხადება გაწევრიანების შესახებ და ამავე კანონის 21^2მუხლის, მე-4 პუნქტის თანახმად, მას გაწევრიანებისთანავე შეუჩერდეს წევრობა.

<u>გადაწყვეტილება:</u> არ დაკმაყოფილდეს რომან მალაყმაძის განცხადება ასოციაციაში გაწევრიანების შესახებ. განცხადების ავტორს ეცნობოს გადაწყვეტილების შესახებ.

<u>გადაწყვეტილება:</u> დაკმაყოფილდეს ქეთევან ბახუტაშვლის განცხადება ასოციაციაში გაწევრიანების შესახებ;

<u>გადაწყვეტილება:</u> დაკმაყოფილდეს რუსუდან სანიკიძის განცხადება ასოციაციაში გაწევრიანების შესახებ და ამავე კანონის 21^2მუხლის, მე-4 პუნქტის თანახმად, მას გაწევრიანებისთანავე შეუჩერდეს წევრობა.

<u>გადაწყვეტილება:</u> ირაკლი კვინტრაძის განცხადების განხილვა ასოციაციაში გაწევრიანების შესახებ გადაიდოს მის მიერ დამატებითი დოკუმენტის წარმოდგენამდე. განცხადების ავტორს ეცნობოს გადაწყვეტილების შესახებ.

მეორე საკითხი:

<u>გადაწყვეტილება:</u> დამტკიცებულ იქნას ასოციაციის 4 წლიანი სტრატეგია და ერთწლიანი სამოქმედო გეგმა სხდომაზე ასოციაციის თავმჯდომარის მიერ დაფიქსირებული შენიშვნების გათვალისწინებით, კერძოდ: 1. სამოქმედო გეგმის შესრულების აქტივობა # 42 ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: ეთიკის კომისიისთვის პრეს-სპიკერის ინსტიტუტის შემოღება; პრეს-სპიკერის არჩევა ეთიკის კომისიის წევრებისაგან. 2. ამოღებულ იქნას # 59 და # 105 აქტივობები სამოქმედო გეგმის სტრატეგიული გეგმის განხორციელების მიზნით შექმნილი აქტივობიდან.

მესამე საკითხი:

<u>გადაწყვეტილება:</u> განგრძობადი იურიდიული განათლების შეღავათების სისტემის მე-8 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

8.1. განგრძობადი იურიდიული განათლების მოთხოვნა ვრცელდება თანაბრად ყველა პრაქტიკოს ადვოკატზე, მაგრამ სხვადასხვა საქმიანობის ან აქტივობის განხორციელების შედეგად გათვალისწინებულია კრედიტ-საათების დაგროვებისთვის გარკვეული შეღავათები და ვრცელდება შემდეგი კატეგორიის ადვოკატებზე:

ადვოკატებზე, რომელთაც:

- მინიჭებული აქვთ პროფესორის სტატუსი და/ან ეწევიან საგანმანათლებლო საქმიანობას (ადვოკატთა ასოციაციის წევრებისთვის ტრენინგების ჩატარების გზით);
- თავიანთი ავტორობით, რეფერირებად ჟურნალში განთავსებული აქვთ იურიდიული შინაარსის პუბლიკაცია (საგანმანათლებლო საბჭო ინდივიდუალურად განიხილავს საკითხს და გადაწყვეტს მისანიჭებელი კრედიტ-საათების რაოდენობას);
- ქართულ ენაზე ნათარგმნი აქვთ იურიდიული ნაშრომები/დოკუმენტები (საგანმანათლებლო საბჭო ინდივიდუალურად განიხილავს საკითხს და გადაწყვეტს მისანიჭებელი კრედიტ-საათების რაოდენობას);
- თავიანთი ავტორობით გამოცემული აქვთ იურიდიული შინაარსის წიგნი (საგანმანათლებლო საბჭო ინდივიდუალურად განიხილავს საკითხს და გადაწყვეტს მისანიჭებელი კრედიტ-საათების რაოდენობას);
- მიმდინარე წლის განმავლობაში მონაწილეობა მიიღეს საერთაშორისო კონფერენციებში და წარმოადგენენ ასეთი ტიპის ღონისძიებაში მონაწილეობის დამადასტურებელ საბუთს (საგანმანათლებლო საბჭო ინდივიდუალურად განიხილავს საკითხს და გადაწყვეტს მისანიჭებელი კრედიტ-საათების რაოდენობას);
- მიმდინარე საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მიენიჭათ დოქტორის ხარისხი;
- მონაწილეობა მიიღეს ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდისთვის მოსამზადებელ კურსებში, რომელსაც ორგანიზება გაუწია ადვოკატთა ასოციაციის სასწავლო ცენტრმა, გაწევრიანების წელს თავისუფლდებიან სავალდებულო კრედიტ–საათების დაგროვებისგან.
- მძიმე ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო არ შეუძლიათ საგანამანათლებლო ღონისძიებებზე დასწრება. (აღნიშნულ შემთხვევაში ადვოკატმა ადვოკატთა ასოციაციის სასწავლო ცენტრის სახელზე უნდა წარმოადგინოს განცხადება და ცნობა ჯანმრთელობის შესახებ. საგანმანათლებლო საბჭო ინდივიდუალურად განიხილავს საკითხს და გადაწყვეტს მისანიჭებელი კრედიტ-საათების რაოდენობას.

8.2 სხვა სახის შემთხვევები, განიხილება საგანმანათლებლო საბჭოს მიერ, ადვოკატის განცხადების საფუძველზე.

8.3. კრედიტებისაგან გათავისუფლების შესახებ განაწყვეტილებას, ანგარიშის სახით, საგანმანათლებლო საბჭო წარუდგენს ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელ საბჭოს.

მეოთხე საკითხი:

მართლმსაჯულების რეფორმების ჯგუფი ჩამოყალიბდეს როგორც სამართლის უზენაესობის და მართლმსაჯულების რეფორმების კომისია.

მეხუთე საკითხი:

<u>გადაწყვეტილება:</u> დამტკიცდეს სამართლის უზენაესობის და მართლმსაჯულების რეფორმების კომისიის დებულება სხდომაზე წარმოდგენილი სახით (დანართი 1)

მეექვსე საკითხი:

<u>გადაწყვეტილება</u>: დამტკიცდეს სამართლის უზენაესობის და მართლმსაჯულების რეფორმების კომისიის შემადგენლობა სხდომაზე წარმოდგენილი სახით: 1. დავით ასათიანი (თავმჯდომარე), 2.გიორგი თევზაძე, 3.ზურაბ როსტიაშვილი, 4.დათუნა მოდებაძე, 5.ირაკლი ყანდაშვილი, 6.თორნიკე ბაქრაძე, 7. მაია ჩიხრაძე, 8.სოფიო ფანჯიკიძე, 9.თამარ გაბიანი, 10.ეკატერინე თორდია, 11.ნათია ხვედელიძე, 12.ნიკოლოზ ლეგაშვილი, 13.იმედა დვალიძე,14. ირაკლი კორძახია,15. ნათელა თოფურია.

მეშვიდე საკითხი:

<u>გადაწყვეტილება:</u> არ დაკმაყოფილდეს ზვიად კუპრაშვილის განცხადება. გადაწყვეტილების შესახებ ეცნობოს განცხადების ავტორს.

მერვე საკითხი:

<u>გადაწყვეტილება</u>: საქართველოს კანონის ადვოკატთა შესახებ, 21^2მუხლის, პირველი პუნქტის, „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, დაკმაყოფილდეს ვაჟა ქადაგიძის, აკაკი ქარჩხაძის, ზურაბ არსენიშვილის, დემურ სურმავას, ნიკოლოზ ბრეგვაძის, ქეთევან კრაწაშვილის, მანანა გიორგაძის, ელენე კვინტრაძის, თეიმურაზ ქათამაძის, სოფიკო შუბითიძის, ქეთევან შუბითიძის, ნატალია ძიძიგურის, გიორგი მაზმიშვილის, კარაპეტ კირაკოსიანის, ნუგზარ ახვლედიანის, თამაზ დონჯაშვილის, ზურაბ მიდოდაშვილის, ნუცა შონიას, ვარლამ ხათრიძის, მარიამ ფარნაოზეს, გვიდონ გადელიას, დავით ჩიტაშვილის, ამირან ზენაიშვილის, ირინე ურუშაძის, ნუგზარ ბადაშვილის, სიმონ თელიაშვილის, დალილა გოგოძის, ოთარ ხარატიშვილის, დავით გრძელიშვილის, მარიკა წულაძის, თინათინ შუღაროვას, სოფიო მიქელაძის,

ბექა გულბანის, მარეხი მაღრაძის, სერგო ფარეიშვილის, სალომე ჯანჯღავას, კახაბერ კოღუაშვილის განცხადებები წევრობის შეჩერების შესახებ.

მეცხრე საკითხი:

<u>გადაწყვეტილება:</u> ასოციაციის ჟურნალის „ადვოკატი“ ორი ნომრის გამოცემისთვის ასოციაციის 2014 წლის ბიუჯეტიდან გამოიყოს 13 600 ლარი. ბიუჯეტში შევიდეს შესაბამისი ცვლილება.

მეათე საკითხი:

<u>გადაწყვეტილება:</u> ასოციაციის სასწავლო ცენტრის ბიუჯეტიდან (143 000 ლარი) 55 000 ლარი გადატანილ იქნას ბათუმის ოფისის რემონტისთვის და ინვენტარის შესაძენად; განხორციელდეს შესაბამისი ცვლილება სასწავლო ცენტრის ბიუჯეტში.

მეთერთმეტე საკითხი:

<u>გადაწყვეტილება:</u> გაუქმდეს არსებული საწევრო დავალიანება ნინო ნიშნიანიძის, თამარ ბოსტაშვილის, თეონა ფერაძის, მარინე მაჩიტიძის და მიხეილ მარჩილაშვილის მიმართ. საქართველოს „კანონის ადვოკატთა“ შესახებ, მე-10 მუხლის შესაბამისად, აღნიშნული პირები ხელახლა იქნან გაწევრიანებული ასოციაციაში.

<u>გადაწყვეტილება:</u> ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს კოორდინატორზე ქეთევან ჯაფარიძეზე გაიცეს პრემია 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით (ხელზე ასაღებად). შვიდეს შესაბამისი ცვლილება ასოციაციის 2014 წლის ბიუჯეტში.

გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ.თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ) მისი გაცნობიდან 1 თვის ვადაში.

ზაზა ხატიაშვილი

საქართველოს ადვოკატთა

ასოციაციის თავმჯდომარე